გაცემის თარიღი

26.10.2023

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : ზურაბ ახალაია 01701128641

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN1996674

გასაჩივრების წესი : ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1996674

1. სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ქ. თბილისში, ცურტაველის ქუჩის მიმდებარედ, №01.18.04.013.077 საკადასტრო ერთეულის საკადასტრო საზღვარს გარეთ გამოსული ანკერების მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, ტერიტორიაზე განთავსებული მიწისქვეშა კომუნიკაციის მფლობელ კომპანიებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით (წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ანკერების მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებით ზედაპირულ გათხრით სამუშაოებს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, განსახორციელებელი სამუშაოები წარმოადგენს №01.18.04.013.077 საკადასტრო ერთეულზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ნაწილს და საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებას)
2. სამუშაოების დაწყებამდე, განმცხადებელმა უზრუნველყოს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების და საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, საკითხის შესათანხმებლად.
3. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი